ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო–საბიუჯეტო კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№–74

ქ. თბილისი; 22 დეკემბერი 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. მიხეილ მესხის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი;
2. ბორია ფირცხელიანის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი;
3. ქალაქი თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.001.522, 1455 კვ.მ) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „პილარ ჯგუფი-კრწანისის" (ს/ნ 406282240) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
4. „ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921 კვ.მ.) და (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი -945 კვ.მ.) მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „Portal-ის" (ს/ნ 404989241) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
5. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ საკითხის ცნობის სახით მიღება;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
9. "ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, N6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა N6) მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო

კოდი: N01.16.06.065.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.063.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
11. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
12. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
13. “ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
14. „ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
15. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
16. “ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის“ (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.302.01.1003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
18. “ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, მიხეილ მესხის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებზე და განმარტა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

ამასთან, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა რომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილების მე–7 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის, განიხილავს და ამზადებს დასკვნას, საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით.**

სამართლებრივი პროცედურული საკითხების მითითების შემდგომ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის №394 განკარგულების შესაბამისად, **საკრებულოს პარტიული სიით არჩეულ წევრს – ბექა დავითულიანს მ/წლის 12 დეკემბრიდან, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება,** ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მ/წლის 18 დეკემბრს წარმოადგინა 2020 წლის 18 დეკემბრის N269/2020 განკარგულება, რითაც, ცნობილ იქნა, ქალაქ თბილისის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ბექა დავითულიანის (პარტიულ სიაში N2) **ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი მიხეილ მესხი** (პარტიულ სიაში N18).

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაცვით თან ერთვის საკრებულოს წევრობის კანდიდატის მიხეილ მესხის თანხმობა საკრებულოს წევრობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განხილვის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული **სამართლებრივი პროცედურები დაცულია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს მიხეილ მესხის უფლებამოსილება.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ბორია ფირცხელიანის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

ამასთან, ლევან ჟორჟოლიანმა მიუთითა, რომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილების მე–7 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის, განიხილავს და ამზადებს დასკვნას, საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით.**

სამართლებრივი პროცედურული საკითხების მითითების შემდგომ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის №396 განკარგულების შესაბამისად, **საკრებულოს პარტიული სიით არჩეულ წევრს – ირაკლი ზარქუას, მ/წლის 12 დეკემბრიდან, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება,** ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მ/წლის 18 დეკემბრს წარმოადგინა 2020 წლის 18 დეკემბრის N270/2020 განკარგულება, რითაც, ცნობილ იქნა, ქალაქ თბილისის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ირაკლი ზარქუას (პარტიულ სიაში N4) **ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ბორია ფირცხელიანი** (პარტიულ სიაში N19).

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაცვით თან ერთვის საკრებულოს წევრობის კანდიდატის ბორია ფირცხელიანის თანხმობა საკრებულოს წევრობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის საკრებულოს, განხილვის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული **სამართლებრივი პროცედურები დაცულია**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ბორია ფირცხელიანის უფლებამოსილება.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქი თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.001.522, 1455 კვ.მ) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,პილარ ჯგუფი-კრწანისის" (ს/ნ 406282240) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით დადგენილი საკითხი, რითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის, საჭირო დროებითი ღონისძიებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2020 წლის 16 და 17 დეკემბერს განცხადებებებით მიმართა **შპს „პილარ ჯგუფი-კრწანისმა“** და ითხოვა, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, განცხადებებთან ერთად წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა ფაქტობრივი გარემოებები: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა **კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია** (ოქმი N7, 21.09.2020 წ.) **შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე:**

- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112),
- ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115),
- ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029),
- ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007),
- ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142),
- ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006).

ლევან ჟორჟოლიანმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისი საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები:

- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112) - 26.10.2020, ბრძ N 5159968, ბრძ N5159973
- ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115) - 26.10.2020, ბრძ N5159478;
- ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029) - 26.10.2020, ბრძ N5159727;
- ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007) - 26.10.2020, ბრძ N 5159537;
- ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - 26.10.2020, ბრძ N 5159464.

ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე, (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, იმისათვის, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს ,,სი ემ სი"-სა და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფელირებულ კომპანიებს (შპს ,,მარიჯანი, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი", შპს ,,დაკიდებული ბაღები", შპს ,,დიღმი დისთრიქთ აფართმენტს", იბა ამხანაგობა ,,ახალი დიღმი" შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, **შპს ,,სიემსი" შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას,** ასევე, მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,სი ემ სი"–მ მოამზადა ზემოთ წარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო, იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, კომისიას, კომპანიების „პილარ ჯგუფი-კრწანისი", შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი" და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა, მიმართაგანაცხადით და საპროექტო წინადადებით, რითაც, შპს „პილარ ჯგუფი-კრწანისი" გამოთქვამს მზაობას განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- კომპანიის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი (მისამართი: ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ (მიწის ფართობი: 1455 კვ.მ.) აღნიშნული მიწა წარმოადგენს ორი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდებით 01.19.36.001.253 (1324 კვ.მ) და 01.19.36.001.254 (131კვ.მ) გაერთიანებას, რომელიც განხორციელდა 2020 წლის 13 იანვარს.
- მიწის ნაკვეთზე ს/კ:01.19.36.001.253, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, (კ-1) – 0,5; (კ-2)- 5.0; (კ-3)-0.4. მშენებლობის ნებართვა გაიცა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით 2020 წლის 09 იანვარს (ბრძ.N 4816193).
- გაერთიანებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში (ს/კ01.19.36.001.522, მიწის ფართობი 1455 კვ.მ), მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 21 აგვისტოს ბრძ.N: 5073922) მრავალფუნქციური მშენებლობის მიზნით.
- შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ასაშენებელი 9 სართულიდან, ამ ეტაპზე დასრულებულია 6 სართული (მონოლითი).
- **შპს „პილარ ჯგუფი- კრწანისი“ ხელშემწყობი ღონისძიების სახით ითხოვს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას 6.0-მდე, ამასთან, გამოთქვამს მზაობას,** აანაზღაუროს მისამართებზე - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. #10- არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 266 195,20 (ორასსამოცდაექვსი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარის ოდენობით.
- საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რის მიხედვითაც, მისამართზე - ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით ,საორიენტაციოდ – 404 490 აშშ დოლარის ოდენობით, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2905) შეადგენს 1 330 974 ლარს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ვინაიდან, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, **შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი,** მათ შორის, **ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები,** რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო. სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო. მისამართებზე შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. #10 სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.001.522, 1455 კვ.მ) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გამოყენებული იქნეს ხელშემწყობი ღონისძიება.

ლევან ჟორჟოლიანმა, გარდა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამისი კომისიის მიერ მიღებულ რეკომენდაციაზე, დეტალური მოხსენებისა, ყურადღება გაამახილა, საკითხთან დაკავშირებით, **ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია,** შპს ,,პილარ ჯგუფი-კრწანისს" ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე **განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტება მოხდეს არსებული (კ-2) – 5.0-დან კ-2 – 6.0-მდე;**

ბ) მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

გ) შპს პილარ ჯგუფი-კრწანისი"-მა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის (266 195,20 (ორასსამოცდაექვსი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 20 თეთრი)) გადარიცხვა განახორციელოს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი" , შპს „მარიჯანი", შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) შპს ,,პილარ ჯგუფი-კრწანისი"-მა ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში;

ე) ამ პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

ვ) მშენებლობის ნებართვის გაცემის წინაპირობად განისაზღვროს ამ პუნქტის „გ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
ზ) შპს ,,პილარ ჯგუფი-კრწანისი“-მა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურისა და პროექტის პირველი მუხლის ფორმულირების შეცვლა, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით, ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით, გაიმართოს, განკარგულების პრეამბულა, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის მითითების ნაწილში, ასევე, პროექტის მე–2 მუხლიც.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921 კვ.მ.) და (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი -945 კვ.მ.) მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს ,,Portal-ის“ (ს/ნ 404989241) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2020 წლის 21 დეკემბერს განცხადებით მიმართა შპს ,,Portal-მა“ შესაბამის ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ხოლო, კომისიის მიერ, 2020 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაცის **განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე:

ა) ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112);

ბ) ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115);

გ) ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029);

დ) ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007);

ე) ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142);

ვ) ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006).

- ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N20.1144.1433, N20.1145.1432, N20.1147.1429, N20.1150.1428, N20.1151.1427; 01.10.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N274, N275, N276, N277, N278, N279) მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები:

ა) ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 - 26.10.2020, ბრძ N 5159968, ბრძ N5159973;

ბ) ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14- 26.10.2020, ბრძ N5159478;

გ) ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), 26.10.2020, ბრძ N5159727;

დ) ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 - 26.10.2020, ბრძ. N 5159537;

ე) ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, - 26.10.2020, ბრძ N5159464;

- ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა **ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142),** შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, იმისათვის, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს ,,სი ემ სი"-სა და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფელირებულ კომპანიებს (შპს ,,მარიჯანი, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი", შპს ,,დაკიდებული ბაღები", შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენტს", იბა ამხანაგობა ,,ახალი დიღომი" შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს ,,სიემსი" შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად. აღნიშნული

ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა.

მომხსენებლის მითითებით, კომისიას, შპს ,,Portal" და შპს ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა მიმართა განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, რითაც, **შპს ,,Portal"-ი გამოთქვამს მზაობას განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- **ზემოაღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია მისამართებზე:** ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921 კვ.მ.) და ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი - 945 კვ.მ.);
- **დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიებების სახით მოთხოვნილია:**
  ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტება - კ-2 – 6.0-მდე;**
  ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ფარგლებში სიმაღლის განმსაზღვრელი სქემისთვის მიმდებარედ არსებული მუნიციპალური მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.11.12.022.057) ჩათვლა საზოგადოებრივ სივრცედ. მოცემულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა და კვეთს საინჟინრო კომუნიკაციები;
  გ) სპეციალური ზონალური შეთანხმება მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.11.12.022.023, 01.11.12.022.059) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის სამშენებლო ობიექტის 60% საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთვის მიზნით;
- დაინტერესებული პირი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,Portal"-ის (ს/ნ 404989241) საპროექტო წინადადებებს განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას, გასცემს მოთხოვნის შესაბამისად რეკომენდაციებს, **კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე** - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16; მარიჯანის ქუჩა N2; კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. #10, - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 1 128 903 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, შპს ,,Portal"-ის მიერ წარმოდგენილია - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა , რის მიხედვით:

1. ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ რეგისტრირებული (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921) მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 16 დეკემბრის

მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 366911 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2905) შეადგენს 1 207 321 ლარს;

2. ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი -945 კვ.მ.) მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 113 400 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2905) შეადგენს 373 143 ლარს.

ლევანმა ასევე ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- შპს ,,Portal"-ის განცხადებით მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.11.12.022.059) დროებით აუთვისებელია, ხოლო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.12.022.023) ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ბენზინგასამართი სადგური. დაგეგმილია აღნიშნული ბენზინგასამართი სადგურის დემონტაჟი. მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში აღნიშნული მიწების გამთლიანება და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა. არსებული ზონის მიხედვით მოცემულ მიწის ნაკვეთებზე დასაშვებია შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი-საზოგადოებრივი) ტიპის ფუნქციის შენობა-ნაგებობის მშენებლობის წარმოება. ამ ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში საქმის წარმოებაშია განაცხადი, მოცემულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციის შემცველი განაშენიანების (საცხოვრებელი - 60%, საზოგადოებრივი - 40%) სპეცნებართვის მიღებასთან დაკავშირებით;
- აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე სპეც-ნებართვის მიღების და არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემთხვევაში კომპანია შპს ,,Portal" გეგმავს მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას მაქსიმუმ - 22 სართულის ფარგლებში;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო. სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო. მისამართებზე შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ. ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ.#10 სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, **არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას,** მისამართებზე - ქ.

თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921 კვ.მ.) და ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი - 945 კვ.მ.) მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გამოყენებული იქნეს ხელშემწყობი ღონისძიებები.

მომხსენებელმა შემაჯამებელი სახით, ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტულებაზე და აღნიშნა, რომ ყოველივე **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:**

- შპს ,,Portal-ს,, ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი-1921კვ.მ.) და (ს/კ 01.11.12.022.059, ფართობი-945 კვ.მ.) მიწის ნაკვეთებზე **განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გადამეტება მოხდეს არსებული (კ-2) - **3.5 დან – 6,0-მდე;**
ბ) სიმაღლის განმსაზღვრელი სქემისთვის მიმდებარედ არსებული მუნიციპალური მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.12.022.057) ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ;
გ) გაიცეს თანხმობა მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.11.12.022.023, ს/კ 01.11.12.022.059) მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის 60 % საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთვის მიზნით;
დ) შპს ,,Portal"-მა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის (1 128 903 (მილიონ ასოცდარვა ათას ცხრაასსამი ლარი) გადარიცხვა განახორციელოს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს „მარიჯანი", შპს „გეითვეი ჰოლდინგი" , შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი", შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
ე) შპს ,,Portal"-მა ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში;

ვ) ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
ზ) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების წინაპირობად განისაზღვროს ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურისა და პროექტის პირველი მუხლის ფორმულირების შეცვლა, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით, ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით, განკარგულების პროექტის მე–2 მუხლის გასწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის ცვლილების, ცნობის სახით, მიღების საკითხი.

კერძოდ, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის თანამდებობიდან დავით უთმელიძის გადადგომის და ფრაქციის თავმჯდომარედ ქეთევან ჯოხაძის არჩევის შესახებ.

მომხსენებელმა **ყურადღება გაამახილა,** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 37–ე მუხლის მე–4 პუნქტის ჩანაწერზე და აღნიშნა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის **არჩევის**, გადაყენების, გადადგომის, აგრეთვე ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის **შესახებ სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარესა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ცნობის სახით მიიღეს **ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის ცვლილების საკითხი.**

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას შემდეგი ოდენობით:

- ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი).
- იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე, ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტის გაზრდას 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტის განსაზღვრას შესაბამისი პროპორციით.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №421 განკარგულება, ამასთან, დაამატა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად, განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ვასილ აბულაძემ ისაუბრა, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–81 დადგენილების მე–2 მუხლით განსაზღვრულ საკითხზე და აღიშნა, რომ მითითებული ითვალისწინებს, იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება ისარგებლონ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლებით.

მომხსენებელმა ისაუბრა, დადგენილების პროექტის განმაპირობებელ საკითხზე და მიუთითა, რომ შპს „ჰერმესის“ დირექტორმა, 2020 წლის 28 ოქტომბერს, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა, რომ კომპანიის მმართველობაში გადმოცემული, ქალაქ თბილისის მასშტაბით არსებული 55 საქალაქო სასაფლაოს სამტატო განრიგით ამ ეტაპისთვის განსაზღვრული – 77 ერთეული ტექნიკური მუშაკისათვის (მესაფლავის) თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უფლების მიცემასთან დაკავშირებით, მიზეზით, რომ გასულ პერიოდში, მათ შორის ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში, იმატა დაკრძალვების რაოდენობამ, რის გამოც, ზემოაღნიშნულ ტექნიკური მუშაკებს (მესაფლავეებს) უწევთ ქალაქ თბილისის მასშტაბით სხვადასხვა სასაფლაოებზე გადაადგილება, რაც მათთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რითაც ცვლილება შევა, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში და აღნიშნული უზრუნველყოფს, ქალაქ ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, დადგენილებით განსაზღვრული სხვა სუბიექტების გარდა აგრეთვე, ქალაქ

თბილისის მუნიცილიტეტის **შპს „ჰერმესი“–ს ტექნიკური მუშაკებისათვის, (მესაფლავეებს) სულ – 77 (სამოცდაჩვიდმეტი) თანამშრომლისათვის, უფასო მგზავრობის უფლების მიცემას.**

ვასილ აბულაძემ ასევე აღნიშნა, რო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების თანმდევად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების მე-5 მუხლშიც ხორციელდება შესაბამისი ცვლილება.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის N20.1511.1812 განკარგულებით, მოწონებულ იქნა დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, დაამატა, რომ დადგენილების ამოქმედებისათვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და **პროექტის ამოქმედება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილების მე–5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ შემდეგი შინაარსის **„ვ[1]“ ქვეპუნქტის დამატებას:**

„ვ[1]) პირველი პუნქტის „ლ[1]“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – შპს „ჰერმესს“;“.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების პროექტის შემუშავებამ, რის თანახმადაც, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება, დადგენილებით განსაზღვრული სხვა სუბიექტების გარდა აგრეთვე მიეცემათ, ქალაქ თბილისის მუნიცილიტეტის შპს „ჰერმესი"–ს ტექნიკური მუშაკებს (მესაფლავეებს) სულ – 77 (სამოცდაჩვიდმეტი) თანამშრომელს.

ვასილმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილების მე–5 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შემდეგ შემდეგი შინაარსის „ვ[1]" ქვეპუნქტის დამატებით, ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის, უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს, კონკრეტული დამსაქმებელი – მოცემულ შემთხვევაში, შპს „ჰერმესი".

მოხსენების მიწურულს, ვასილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის N20.1511.1812 განკარგულებით, მოწონებულ იქნა დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან, მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედებისათვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და პროექტის ამოქმედება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, N6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა N6) მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.065.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა მიუთითა, მოქალაქე სერგო თათარაშვილმა განცხადებებით, მიმართა ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ითხოვა, წლების მანძილზე დაკავებული საცხოვრებელი ფართის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევა. თავის მხრივ, გამგეობამ მიმართა, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მოქალაქე სერგო თათარაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით;

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა ასევე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებული შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ოჯახთან ერთად, ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტები, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ, რომ სერგო თათარაშვილი, ქალაქ თბილისი, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა N6–ში (ყოფილი სამოქალაქოს 6), 1993 წლიდან ცხოვრობს, ამჟამად, უკვე ოთხ სულიან ოჯახთან ერთად;
- ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, № 6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა № 6) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე სერგო თათარაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სათაურის რედაქტირების, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ამავე პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის აღნიშვნისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების, აგრეთვე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.063.01.500) მდებარე

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში, პირველ სართულზე მდებარე 105.18 კვ.მ. უძრავი ქონების მოქალაქე მაია ქარსაულიძის საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად პრიატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებების შესახებ:

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მაია ქარსაულიძემ და ითხოვა, ოჯახთან ერთად, 2007 წლიდან დღემდე, დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, საინგილოს ქუჩა N31-ში, პირველ სართულზე მდებარე 105.18 კვ.მ. ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და შუამდგომლობა გაუწია მოქალაქეს განცხადებით წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით.
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე, მოქალაქეთა ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რის თანახმადად, მოქალაქე მაია ქარსაულიძე და მისი არასრულწლოვანი შვილები 2007 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე ქ. თბილისი, საინგილოს ქ. 31 (ყოფილი საინგილოს ჩიხი N5) ბინა 2-ში;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის თანახმად, მაია ქარსაულიძეს და მისი ოჯახის წევრებს საკუთრებაში არ უფიქსირდებათ უძრავი ქონება.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში, პირველ სართულზე მდებარე 105.18 კვ.მ. უძრავი ქონების მოქალაქე მაია ქარსაულიძის საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის სტილისტური და ტექნიკური თვალსაზრისით შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და აღნიშნულ პუნქტში, პროექტის მე–2 პუნქტთან ერთად ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორების მიზაშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში, პირველ სართულზე მდებარე 265.35 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე დალი ლონდარიძის საკუთრებაში გადაცემის საკითხზე, საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე დალი ლონდარიძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში, პირველ სართულზე მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 265.35 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, ვაკის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით, მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს.
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული აქტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე დალი ლონდრიძე, 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯათან ერთად;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტებით, დაინტერესებული პირი, უძრავ ქონებაში ცხოვრობს 1998 წლიდან;
- დაინტერესებული პირის მიერ ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებს, წყნეთის საუბნო განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის მიერ შედგენილი დოკუმენტი.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, დალი ლონდარიძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლიმ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის ტექნიკური თვალსაზრისით შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება, ხოლო, პროექტი მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, დაამატა, რომ მიზანშეწონილია, მოქალაქესთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, დამატებით წარმოდგენილ იქნას, ოჯახის წევრთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა აღნიშნული ფართის დალი ლონდარიძის სახელზე დაკანონებასთან დაკავშირებით. ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებას ასევე დაეთანხმნენ კომისიის წევრებიც.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში, მე-2 სართულზე, მდებარე 88.28 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ციური კლდიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულის მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **ციური კლდიაშვილმა** და ითხოვა, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში, მე-2 სართულზე, მდებარე **88.28 კვ.მ.** მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, არადევნილი სტატუსის მქონე პირის ციური კლდიაშვილის მიერ წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით.
- **დაინტერესებული პირის მიერ, მრავალი წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე ციური კლდიაშვილი 1993წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ აღნიშნული პირის მიერ, 1993 წლიდან უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ციური კლდიაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, ირაკლიმ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში, პროექტის მე–2 მუხლთან ერთად, ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე **ლალი ძნელაძისათვის** 25 წლის მანძილზე დაკავებული უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლალი ძნელაძემ და ითხოვა თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, ისნის რაიონის გამგეობამ, წერილობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, სადაც გამგეობა აღნიშნავს, რომ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები, შემდგომში მოქალაქე ლალი ძნელაძისათვის უძრავი ქონების, საკუთრებაში სიმბოლურ ფასად –1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით, ადასტურებენ, რომ ლალი ძნელაძე 1995 წლიდან დღემდე ნამდვილად ფლობს და სარგებლობს ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში მდებარე ბინას;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტაციის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით ლალი ძნელაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, თბილისის მასშტაბით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, ირაკლიმ აღნიშნ, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში, პროექტის მე–2 მუხლთან ერთად, ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემა.**

ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- ნაძალადევის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა შემდეგი მოქალაქეებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა. გიორგი მანძულაშვილმა 43.8 კვ.მ, გიორგი ნოზაძემ 46.72 კვ.მ, გოდერძი ბლიაძემ 40.93 კვ.მ დავით ნინუამ 51.44 კვ.მ, დალი სადაღაშვილმა 53.96 კვ.მ, დიმიტრი ჩოკოლაშვილმა 43.99 კვ.მ, თინა ცერცვაძემ 77.62 კვ.მ, ლადო ნინუამ, 53.91 კვ.მ, ნინო ბიგანაშვილმა 54.69 კვ.მ და ნოდარ შველიძემ 42.68 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 509.74 კვ.მ უძრავი ქონება.
- **დაინტერესებული პირების მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტებით, ზემოაღნიშნული პირები ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე 2009 – 2010 – 2011 წლებიდან დღემდე. ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული

თანხმობებით ადასტურებენ დაინტერესებულ პირთა მიერ, საცხოვრებელ ფართებში 2009 – 2010 –2011 წლებიდან ცხოვრების ფაქტს.

- ნაძალადევის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქეებს: **გიორგი მანძულაშვილი, გიორგი ნოზაძე, გოდერძი ბლიაძე, დავით ნინუა, დალი სადაღაშვილი, დიმიტრი ჩოკოლაშვილი, თინა ცერცვაძე, ლადო ნინუა, ნინო ბიგანაშვილი** და **ნოდარ შველიძე,** რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებით, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში.**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირთა სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში **რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება, ხოლო, მე–2 პუნქტის სტილისტურად გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4.59 კვ.მ; 45.14კვ.მ და 54.70 კვ.მ ფართის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ეთერ ტატიურისა და მოქალაქე თამარ ყაზახაშვილსთვის გადაცემის საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა ეთერ ტატიურმა და თამარ ყაზახაშვილმა, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გახოკიძის ქუჩა N8-ში მდებარე, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 4.59კვ.მ; 45.14კვ.მ და 54.70 კვ.მ საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა. თავის მხრივ, სამგორის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქის მიერ წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით.
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტები, სადაც მითითებულია, რომ ეთერ ტატიური ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს – 1998 წლიდან, ხოლო, თამარ ყაზახაშვილი - 2008 წლიდან.
- მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით ადასტურებენ, რომ ეთერ ტატიური, 1998 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად.

- სამგორის რაიონის მე-III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების ოქმებით, დგინდება, რომ მოქალაქეები ეთერ ტატიური - 1998 წლიდან, ხოლო **თამარ ყაზახაშვილი** - 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის თანახმად, ეთერ ტატიურზე, **თამარ ყაზახაშვილსა** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება, ხოლო, მე–2 პუნქტის სტილისტურად გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის" (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან, 53 კვ. მ. მიწის ნაკვეთის შპს „კოფისტასთვის"პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 2025 წლის 27 ივლისამდე ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ირაკლი თავართქილაძემ ამომწურავად ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკითხების შესახებ:

- შპს „კოფისტას" დირექტორის წარმომადგენელმა, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად;
- შპს „კოფისტა" დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, იჯარის უფლებით ფლობს - ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 22გ-ში მდებარე 42 კვ.მ. ფართობის უძრავ ქონებას ხუთი წლის ვადით, უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2020 წლის 27 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად;
- შპს „კოფისტას" დირექტორის წარმომადგენელმა, დამატებითი განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის იჯარით

გადაცემა ითხოვა 2025 წლის 27 ივლისის ჩათვლით და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული კომპანიისთვის მისაღებია წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა 7700 ლარის ოდენობით;

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №18-26-ის მიმდებარედ არსებული, № 01.10.15.010.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 22 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 7632 (შვიდი ათას ექვსას ოცდაათორმეტი) ლარით;

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული - ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „კოფისტასთვის"პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 2025 წლის 27 ივლისამდე ვადით გადაცემა, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითება, ამასთან, პროექტის მე–3 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.302.01.1003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 65.84 კვ.მ ფართის უძრავი ქონების მოქალაქე ბეჟანი ყვავაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე ისაუბრა, შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ბეჟანი ყვავაძემ და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 65.84 კვ.მ ფართის არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა. თავის მხრივ, გამგეობამ, წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქე ბეჟან ყვავაძეს, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს საკუთრებაში.
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრები ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ დაინტერესებული პირი 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თანადგომის" შესაბამისი დოკუმენტით ადასტურებენ ბეჟან ყვავაძისა და მისი ოჯახის ცხოვრების ფაქტი აღნიშნულ მისამართზე.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილებით, ბეჟანი ყვავაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე **რეგისტრირებული არ არის.**
- მოქალაქეები: შორენა ყვავაძე და თორნიკე ყვავაძე შესაბამისი დოკუმეტებით, თანხმობას აცხადებენ, ბეჟანი ყვავაძემ თავის სახელზე გაიფორმოს აღნიშნული ქონება.

მოხსენების მიწურულს, ირაკლიმ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნული პუნქტისა და მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში, ბინა N16-ში მდებარე 41.96კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლალი ჩალაძისთვის გადაცემასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემა.

ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლალი ჩალაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში, ბინა N16-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, 41.96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა.

- აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გლდანის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N3ბ-ში მესამე სართულზე მდებარე ბინა N16-ის, ფართით 41.96 კვ.მ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე **ლალი ჩალაძისთვის** დევნილის სტატუსის არმქონე პირისათვის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

- დაინტერესებული პირის მიერ, ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ გაცემული წერილი, სადაც მითითებულია, რომ ლალი ჩალაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ - ში, ბინა N16-ში 20 წელზე მეტია.

- ამხანაგობა"იმედი"-ის კრების ოქმით ამხანაგობის წევრები აცხადებენ, **რომ ლალი ჩალაძე** და მისი ოჯახი 1989 წლიდან ცხოვრობენ ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში, ბინა N16-ში და იგი განქორწინებულია ბადრი დეკანოიძესთან 2011წლის 5 დეკემბრიდან.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **ლალი ჩალაძეს** 2018წლის 28 ოქტომბრის N449171 წერილით საკუთრებაში უფიქსირდებოდა ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N13-ში მდებარე ბინა N92 ფართით 16კვ.მ,რაც გააჩუქა

2020 წლის 6 ივლისის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, მოქალაქემ 2020 წლის 11 აგვისტოს განცხადებით, ხელმეორედ მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას ბინის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით და ასევე მოქალაქემ განმარტა, რომ N01.10.17.002.009.01.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ბინა წარმოადგენდა მისი დის საკუთრებას და მის სახელზე დროებით იყო აღნიშნული ბინა გაფორმებული.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნულ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება, ასევე, და მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**